*დანართი №1*

**სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური**
**შემოწმების აქტი № 003198/შ**

**შედგენის თარიღი: 24.03.2022 წ.**

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი)

**ობიექტის დასახელება: შპს „შპს დონა გრუპ"**
**საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 206345454**
**დირექტორი.**
**იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რ/ნი, ე. მინდელის ქ. N12, ბლოკი N4, ბინა 1ბ.**
**ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რ/ნი ელიზბარ მინდელის ქ. N8ა**
**ეროვნული კლასიფიქატორები (NACE 2016) :**
**F.41.20.0 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა**
**მე-80 დადგენილების მიხედვით"განსაკუთრებით მარალი რისკის მქონე ობიექტი.**
**საკონტაქტო პირი/ინფორმაცია**
**შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:**
**დასაქმებულთა რაოდენობა- სულ: 18 პირი; ქალი-0; კაცი-18. არასრულწლოვანი -0; ორსული, ახალნამშობიარები/ მეძუძური ქალი-0.**
**დასაქმებულთა წარმომადგენელი ობიექტზე არ არის გამოყოფილი დასაქმებულთა წარმომადგენელი.**

მითითება გაცემული იყო „შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გაცემული №003198/ო მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

შემოწმებით დადგინდა შედეგი:

ა) მითითება შესრულდა;
ბ) მითითება არ შესრულდა;

| N | გაცემული მითითებები | შედეგი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | დამსაქმებელმა დანიშნოს/მოიწვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01/25ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;<br>**საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 7. პუნქტი 2,** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| 2 | სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განსაზღვრეთ კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების და მართვის სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები.<br>უზრუნველყავით პრევენციული ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემის დანერგვა და განხორციელება საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად.<br>1. შეიმუშავეთ თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს.<br>2. შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით.<br>3. შეამცირეთ და აღმოფხვერით საფრთხის შემცველი ფაქტორები.<br>4. იზრუნეთ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე.<br>5. შეაფასეთ ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი1, ქვეპუნქტი: „ა-ვ“** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | განსაზღვრეთ დასაქმებულების სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდეთ ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების, მანქანა-დანადგარების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სამუშაო პროცედურების, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 5, მე-2, 3 პუნქტები.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| 4 | სამშენებლო ობიექტზე აღრიცხეთ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 5, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| 5 | მოხდეს კონტროლი სამუშაოზე დასაქმებულების ან/და სხვა პირების, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| 6 | მანქანა-დანადგარები აღჭურვეთ კოლექტიური დაცვის საშუალებებით დამცავი ფარები/ხუფები და მიანიჭეთ მათ უპირატესობა ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებთან შედარებით<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 6, პუნქტი 3 .“ვ“ ქვეპუნქტიდა მუხლი 6, პუნქტი 1. „ზ“ ქვეპუნქტი.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | შეამოწმეთ ობიექტზე არსებული ყველა დანადგარის ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 5, პუნქტი 1. „ვ.ა“ ქვეპუნქტი.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| **8** | სიმაღლეზე მომუშავეებს ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული დასაქმებულისათვის ვარდნის საფრთხის გამოცნობის შესაძლებლობას და უნდა მოიცავდეს ამ საფრთხის მინიმუმამდე შემცირების მიზნით აუცილებელ პროცედურებს. ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს:<br>ა) განხილულ მოდულებსა და საკითხებს;<br>ბ) სწავლების ადგილს;<br>გ) ტრენერის სახელს/გვარს;<br>დ) სწავლების თარიღს;<br>ე) სწავლების მონაწილეთა მონაცემებს;<br>ვ) დასაქმებულის ხელმოწერას.<br>ასევე ობიექტზე დასაქმებულებს ჩაუტარეთ სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.<br>**საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 16, პუნქტი 2. პუნქტი 4. პუნქტი 7.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| **9** | სამუსაო ობიექტზე არსებული არაქარხნული ხარაჩოები ჩანაცვლდეს ქარხნულით, წარმოდგენილი იქნას ქარხნული ხარაჩოს დოკუმენტი<br>**საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 6, პუნქტი 1** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |
| **10** | ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუსაო პლატფორმებისა და ყველა ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტეტური პირის და სამსახურის მიერ, რომელიც დადასტურებული იქნება დოკუმენტალურად შემოწმების აქტით.<br>**საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 14, პუნქტი 15.** | **მითითება შესრულდა** | **18.03.2022** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებული პირები საკუთარი ხარჯებით უზრუნველყავით უბედური შემთხვევის დაზღვევით.<br>**საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**<br>**მუხლი 5, პუნქტი 9.** | **მითითება**<br><br>**შესრულდა** | **18.03.2022** |

შენიშვნა: სამართალდამრღვევის მიერ მითითების ვადაზე/თარიღზე ადრე გამოსწორების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შემოწმების აქტი შესაძლებელია შედგეს მითითებით დადგენილი ვადის/თარიღის გასვლამდე, რაც აღინიშნება შემოწმების აქტში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**შემოწმების აქტის გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):**

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (უფროსი შრომის ინსპექტორი);

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები ( შრომის ინსპექტორი)

**შემოწმების აქტი ჩაიბარა** (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

_____ _____

სამართალდამრღვევის პირის მიერ შემოწმებისს ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

_____

**უფლებამოსილი პირ(ები)ი:**

**სამართალდამრღვევი:**